11 ოქტომბერს საქართველოში არჩევნებია!

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№38 (6532) 23 სექტემბერი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლეჩხუმის" დღევანდელი სპეციალური ნომერი წარმოგიდგენთ დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატებს

რუბენ ევგენის ძე ბაქრაძე

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი **რუბენ ევგენის ძე ბაქრაძე** დაიბადა 1918 წელს ცაგერის რაიონის სოფ. ლუხვანოში. დაამთავრა ლუხვანოს 7-კლასიანი სკოლა და როგორც ფრიადოსანი, უგამოცდოდ ჩაერიცხა ცაგერის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1940-1941 წლებში მსახურობდა წითელი არმიის რიგებში, მონაწილეობდა გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ომში და მიღებული ჭრილობების შემდეგ ინვალიდი დაბრუნდა ცაგერის რაიონში. 1953 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მიენიჭა საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.



წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე—ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორად, გაზეთ „კომუნიზმის სხივის" რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად. იყო სარაიონთაშორისო გაზეთ „კომუნიზმის დროშის" საკუთარი კორესპონდენტი ცაგერის რაიონში, ნიფერჩის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნიზმის სხივის" რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ჩხუტელის სამუშალო სკოლის დირექტორი, ბარდნალის საშუალო სკოლის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიკომის თავმჯდომარე, ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.

პარალელურად ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებებს. წლების მანძილზე მუშაობდა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიკომის თავმჯდომარედ, საქართველოს საისტორიო საზოგადოების ცაგერის განყოფილების უფროსად, არჩეული იყო ადგილობრივ დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატად.

დაჯილდოებულია დიდი სამამულო ომის პირველი რიგის ორდენით და 16 მედლით. არის სახალხო განათლების წარჩინებული, აღებული აქვს სამკერდე ნიშანი.

[illegible]ის რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, იღებს სამხედრო პენსიას.

ამჟამად მუშაობს ქვედა ცაგერის არასრულ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

ჰყავს მეუღლე, სამი [illegible]ილი.

ცხოვრობს ცაგერის [illegible]აიონის სოფელ ქვედა [illegible]გერში.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები

—პოლიტიკური ცხოვრების სფეროში მიმაჩნია, [illegible]მ საქართველო უნდა [illegible]ახდეს პარლამენტური [illegible]ტიპის სამართლებრივი, დემოკრატიული, ერთიანი [illegible]ელმწიფო მის დღევანდელ, ისტორიულ საზღვრებში. საქართველოს საზღვრები წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელია. საქართველოს მოქალაქენი ეროვნების, ენის, სარწმუნოების, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, სარგებლობენ თანაბარი უფლებებით პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სფეროებში. საქართველოს კონსტიტუცია უზენაესი კანონი უნდა იყოს მის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც განსაზღვრავს ავტონომიურ გაერთიანებათა და ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლებებს. კონსტიტუცია უნდა შემუშავდეს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებათა და საქართველოს დღევანდელ რეალობათა გათვალისწინების საფუძველზე. საქართველოში სახელმწიფო ენა ქართული უნდა იყოს.

—მატერიალური ცხოვრების სფეროში მიმაჩნია, საქართველოს მოქალაქეებს ექნეთ თანასწორი უფლება სამეურნეო და საბაზრო საქმიანობის დარგში. უპირატესობას ვანიჭებ წარმოების საშუალებებზე საკუთრების სოციალისტურ ფორმას, ამასთან კონკრეტული პირობების გათვალისწინებით მხარს ვუჭერ საკუთრების ყველა ფორმას, მათ შორის კერძო საკუთრებასაც, თუ იგი უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ზრდის შედარებით მაღალ ტემპს, საზოგადოებრივ წარმოებაში შეტანილი წვლილის მიხედვით განაწილების სამართლიანი პრინციპის განხორციელებას, გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, მასობრივ უმუშევრობას, ეკოლოგიურ და ტექნიკურ საფრთხეს და ა. შ. სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს, კონტროლს აწესებდეს ადამიანთა სასიცოცხლოდ საჭირო პირველი მოთხოვნილების პროდუქციის ფასწარმოქმნაზე, გადაჭრით იბრძოდეს სპეკულაციის წინააღმდეგ, ყოველ ღონეს ხმარობდეს მშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მიწა-წყალი, წიაღისეული, ტყის მასივები საერთო-სახალხო საკუთრება უნდა იყოს; მიწის ერთი ნაწილი გადაეცემა საკუთრებაში საკარმიდამო, საბაღე, საგარაკე ნაკვეთის სახით როგორც სოფლად, ისე ქალაქად მცხოვრებთ დადგენილი ნორმის მიხედვით მუდმივ მფლობელობაში მემკვიდრეობის, მაგრამ არა ყიდვა-გაყიდვის უფლებით.

—სოციალური დაცვის დარგში მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა შრომისუნარიანის ჩაბმა შრომაში, ცხოვრებისათვის მინიმალური დონის განსაზღვრა, პროდუქტებსა და საგნებზე ფასების ისეთნაირი დარეგულირება, რომ მოსახლეობის ყველა ნაწილს შეეძლოს მისი შეძენა დადგენილი ნორმების შესაბამისად; მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა. სახელმწიფო უნდა გახდეს მოსახლეობის სოციალური დაცვის მტკიცე გარანტი.

სულიერი ცხოვრების სფეროში უნდა ვიზრუნოთ ქართული ზნეობრივი ტრადიციების აღდგენისა და განვითარებისათვის, უმცროს-უფროსთა ურთიერთობაში ქართული ოჯახური ზრდილობიანობის გამოცოცხლებისათვის. არასწორად მიმაჩნია ჩვენი ისტორიული წარსულისა და წინაპართა ლანძღვა-გინება და განქიქება, ყველა თავისმა საქმემ უნდა გამოაჩინოს. გადაჭრით წინააღმდეგი ვარ ახალგაზრდობისათვის ისეთი ნაწარმოებებისა და ვიდეოფილმების ჩვენებისა, რომლებიც არ ემსახურებიან მათ სწორად აღზრდას. ხელისუფლება უნდა იღვწოდეს პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის, მის შეგნებასა და მოქმედებაში ჰუმანურობის, კაცთმოყვარეობის, ურთიერთპატივისცემის ჩამოყალიბებისათვის.

მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის განვითარება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების უპირველესი ზრუნვის ამოცანად უნდა იქცეს. მასწავლებელი და ექიმი—ჩვენი საზოგადოების ზნეობისა და ჯანმრთელობის [illegible]ურჯი, როგორც ეკონომიური, ისე მორალური თვალსაზრისით სახელმწიფოსა და საზოგადოების [illegible]უნელებელი ყურადღებით [illegible]ნდა სარგებლობდნენ.

—ჩემის აზრით, მეტი [illegible]ურადღების გამოჩენაა [illegible]ირო მთიანი რაიონების განვითარებისათვის. სახელმწიფოს სპეციალური მონახაზი უნდა ჰქონდეს ამისათვის გაკეთებული და იგი უნდა სრულდებოდეს. ცაგერის რაიონი ერთ-ერთი მთიანი რაიონია და მისი შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის ზრუნვა ჩემი უპირველესი საქმე იქნება.

გელა ისკანდერის ძე ჩარკვიანი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი **გელა ისკანდერის ძე ჩარკვიანი** დაიბადა 1954 წელს ცაგერი რაიონის სოფელ სტრმოში. 1971 წელს დამთავრა ლიკოშის საშუალო სკოლა. 1972 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხედრო უნივერსიტეტის სახელმწიფო მოუმზადებელი კურსანტად. 1974-1976 წლებში მოსამსახურეობა ესამართა ინვალიდ-ეკონომისტის საეკიადროში 1981 წელს.

1981-დან 1984 წლამდე მუშაობდა სამოიმეცნიერო-ტექნიკურ ინსტიტუტში ოფიციალურად. 1984 წლიდან 1989 წლამდე კომიტეტში, სადაც წლების განმავლობაში ვბრინა უფროსი ეკონომისტის, მთავარი სპეციალისტის, ქვეკანყოფილების ოფროსის თანამდებობები. საგვიმო კომიტეტის რეგრგანიზაციის შემდეგ მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროში. ეკონომიკისა და ინფორმაციის სამინისტროში. ამჟამად მუშაობს ეკონომიკის სამინისტროში ეკონომიური რეფორმის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

უპპრტოია.

ავის მეოლეგ.

ცხოვრობს ქალაქ თბილისში.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის

თ ე ზ ი ს ე ბ ი

მას შემდეგ, რაც კომუნისტურმა იდეოლოგიამ პოლიტიკური და ეკონომიკური ბანკროტი განიცადა და იმპერიამ რღვევა დაიწყო, ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოსაც ეპრეა პრობლემა აიწყნდათ, თუ ეროვნული მარცვიდენტალ ინა დიდი ხნის ოცნება და თავისუფალი საქართველოს შენებლობას შეეფეჭვა, მეორეს მხრივ, რღვევის პროცესი რთული ბუნებისა და ძნელად გადასალახ პრობლემებს ბეიქნიის: ირღვევა ძველი ეკონომიკური თე ეროლ ბაკური კავშირები, მიდინარეობს ფასიეულობათა გლობალური გადაფასება. კომენსტური იდეოლოგიის მიერ დამკვიდრებული ბასლრდული თანამეზობრობა ფუეი ალმოჩნდა, მაგრამ ამ იდეოლოგიაზე ლენინდელ ადამიანებს ქეული ცხოვრების მიერ დამკვიდრებული მოჩვენებითი ეარანტიების დამმბილ ბ გაგვიჭირდა, ამისთვის ფსიქოლოგიურად მოემზადებელი ბ ბ ბ

ДЕПУТАТОБИС КАНДИДАТИС ГИОРГИ РЕГВОС ДЕ МАНДАРЧАС ГИНАСААРЧЕВНО ПРОГРАМИС ТЕЗИСЕБИ

(დასასრული)

ეკოლოგიის სფეროში:

—ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების შეცვლა, ბუნების უძოწყალო ექსპლუატაციიდან მის მოვლა-პატრონობაზე გადასვლა. ეკოლოგიური კრიტერიუმების პრიორიტეტის აღიარება და განუხრელად გატარება ნებისმიერი ტექნიკური და სამეურნეო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

—ეკოლოგიურად სუფთა და რესურსდამზოგველი თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა და ფართოდ დანერგვა.

—ამიერკავკასიის უატომო ზონად გამოცხადება.

—დემოგრაფიული კონცეფციის დამუშავება, რომლის მიზანი იქნება საქართველოს ინტერესების შესაბამისად მისი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

—პატარა და საშუალო ქალაქების განვითარება, ქმედითი ზომების გატარება სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური, კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

—საქართველოსაგან მოწყვეტილ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის ინტერესების დაცვა.

—საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა.

—საშუალო სკოლებში საღვთო სჯულის ნებაყოფლობითი სწავლება, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში რელიგიის ისტორიის და თეორიის კურსების შემოღება.

—კულტურის სფეროში სახელმწიფოებრივი და ეთნლებრივი მონოპოლიის წინააღმდეგ ბრძოლა და თავისუფალი შემოქმედებისა და შემოქმედებითი განვითარების პლურალიზმის დამკვიდრება.

—ახალგაზრდობისათვის დასავლეთის კულტურული და სამეცნიერო ცენტრებისაკენ გზის გახსნა.

—საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირების შემდგომი განვითარება და მათი ინტერესების დაცვა.

—ქართული კულტურის პროპაგანდა.

КАРЛО САМСОНИС ДЕ КВИРИКАШВИЛИ



საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი **კარლო სამსონის ძე კვირიკაშვილი** დაიბადა 1940 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელში.

1947-1958 წლებში სწავლობდა ჩხუტელის საშუალო სკოლაში. 1958-1959 წლებში მუშაობდა ლაჯანურჰესის მშენებლობაზე მუშად. 1959—1960 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1961-1963 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში, 1963-1969 წლებში სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. სპეციალობით არის სტატისტიკოსი და ინჟინერ-მშენებელი. 1974-1976 წლებში სწავლობდა და დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დაუსწრებელი ასპირანტურა. გამოქვეყნებული აქვს ოთხი ნაშრომი. 1969-1970 წლებში მუშაობდა რაიონის არქიტექტორად. 1970-1972 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1972-1978 წლებში იყო კოლმშენის უფროსი. შემდეგ წლებში არჩეული იყო რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელ სხვადასხვა თანამდებობაზე.

ამჟამად მუშაობს რაიონის მთავარ არქიტექტორად.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

ცხოვრობს ცაგერის რაიონის სოფ. ჩხუტელში.

ДЕПУТАТОБИС КАНДИДАТИС ГИНАСААРЧЕВНО ПРОГРАМИС ТЕЗИСЕБИ

დღეს, როცა ჩვენმა ქვეყანამ, საქართველოს რესპუბლიკამ, ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს ხალხთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ამით აღსრულებულია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება, როცა დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს წინსვლის ნაბიჯები მოქცეულია პლანეტის ცივილიზებული ქვეყნების ყურადღების ცენტრში. ჩემი წინასაარჩევნო თეზისები ასეთნაირად მესახება:

—საქართველოს რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის ყველა წევრთან, რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ყველა პარტიასთან და ბლოკთან მჭიდრო თანამშრომლობა და საზოგადოებრიობის ნების გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ეროვნული აღმშენებლობისა და განვითარების კონცეფციების შემუშავება და განხორციელება.

—ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გარანტიებისათვის ერთიანი ქართული, ეროვნული არმიის მშენებლობის აუცილებლობა. ისტორიულად ჩამოყალიბებული საქართველოს საზღვრების მთლიანობის დაცვა, საზღვრების ხელშეუხებლობა.

—რესპუბლიკის განაპირა სასაზღვრო რაიონებში მკვიდრი მოსახლეობის ყველა სახის საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, რომ ჩვენი ცხოვრების ხსოვარი დროიდან ჩამოყალიბებული სუფთა ეროვნული ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება სასაზღვრო ზოლში მცხოვრებ ჩვენი თუ მეზობელი ქვეყნების მოსახლეობას შორის, ორმხრივი პატივისცემის გზით მტკიცდებოდეს.

—საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ღონისძიებების უსწრაფესად განხორციელება, ქვეყანაში სტაბილიზაციის დამყარება, რომ ეროვნულმა პოლიციამ უზრუნველყოს ადამიანთა შშვიდობიანი თანაცხოვრება და იმ მანკიერების აღკვეთა, რაც დღეს ჩვენს სინამდვილეში ხდება, ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ეროვნული პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ამ ორგანოში ღირსეული კადრების მოზიდვას და პოლიციის შემადგენლობისათვის ყველა პირობის შექმნას.

—დემოკრატიული, დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობის გზაზე რესპუბლიკაში ყველა მცხოვრებთა შორის, განურჩევლად ეროვნული ნიშნისა და რელიგიური მრწამსისა, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთსიყვარულის, ურთიერთნდობისა და სოციალურად თანასწორი თანაარსებობის ატმოსფეროს შექმნა. ეროვნული უმცირესობის მიმართ საერთაშორისო ნორმებით აღიარებული მოთხოვნების დაცვა. მხარს ვუჭერ საქართველოში მოქალაქეობის კანონის მიღების დაჩქარებას.

—ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებისათვის წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების უპირატესი განვითარება, პრივატიზაციის დაჩქარება; ნებაყოფლობის საფუძველზე სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ზრდისათვის თავისუფალი მეწარმეობის ფორმების დამკვიდრება.

—საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, რომ საბაზრო ფასები არეგულიროს წარმოების სფერომ, წარმოებითმა ურთიერთობებმა და პროდუქციის წარმოების ძირითადმა ბაზამ—შრომამ. უნდა დაჩქარდეს საკუთარი ფულის ნიშნების არსებობა და მანეთის ზონიდან თანდათანობით გამოსვლა.

—ჩვენი ეროვნული სიმდიდრის წყაროებისადმი, მისი გეგმაზომიერი მოხმარებისადმი, ეკოლოგიის დაცვის პრინციპებისადმი განსაკუთრებული მიდგომა, რომ საქართველოს ფლორა და ფაუნა შეუნარჩუნდეს შთამომავლობას.

—რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების კვალდაკვალ ლეჩხუმის პრობლემების წამოწევა და სამართლიანობის პრინციპით ჩვენი რაიონის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა.

ეს საკითხებია:

—რაიონის ადგილობრივ მმართველობასთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთკავშირში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება. განსაკუთრებით ქურდობის, ყაჩაღობის და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება.

—რაიონის ბიუჯეტის განმტკიცებაში და მის ზრდაში ყველა სახის ადგილობრივი რესურსის ჩართვა.

—კერძო საკუთრების ფორმაზე გადასვლით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის ზრდა. წარმოებული პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე გატანის ორგანიზაცია და დახარჯული შრომის მიხედვით პროდუქციის ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანა. მხარს ვუჭერ არსებულ ბაზაზე მცირე სიმძლავრის ფერმერული მეურნეობების შექმნის ორგანიზაციას, მასში ინდივიდუალური ელეხური მეურნეობების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. ამით უნდა გადაწყდეს პირველ რიგში საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების პროდუქტებით მომარაგების საკითხი.

—სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა.

—ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობებში მოსახლეობის დაცვის და ახალი ფართობების ათვისების მიზნით ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება.

—შიდასასოფლო და სარაიონო გზების კეთილმოწყობა.

—სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობების წარმოება.

—რაიონის სავაჭრო მომსახურების სფეროს გარდაქმნა.

—სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების გაუმჯობესება, ყველა სამგზავრო მარშრუტის აღდგენა.

—მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა, ომის და შრომის ვეტერანებზე, ინვალიდებზე კანონით მიღებული შეღავათების შეუფერხებელი გავრცელება.

—სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ობიექტების და მიწის პრივატიზაციის კანონის განხორციელების დროს სამართლიანობის პრინციპის დაცვა.

—ტყის რესურსების დაცვა და მისი გეგმაზომიერი მოხმარება, ენერგეტიკული რესურსების ამოქმედება.

—განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგების მუშაკთა სოციალური პირობების დაცვა.

—ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე სისტემატური ზრუნვა, რაიონში სპორტული და თვითშემოქმედებითი მუშაობის გააქტიურება.

—დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მრავალშვილიან დედებზე, ეკონომიურად სუსტ და ახალგაზრდა ოჯახებზე განსაკუთრებული ზრუნვა.

—ლეჩხუმის კულტურის ძეგლების დაცვა-აღდგენა.

—პრესის და სიტყვის თავისუფლების დაცვა.

„ლეჩხუმი" გამოდის • კვირაში ერთხელ ტირაჟი 2900 შეკვეთა №19

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, სტამბის დირექტორის—22-17, საბუღალტრო ბაზის —22-23

რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე.

ცაგერის რაიონული სტამბა.